



**ICEIA**  
ბარბოზა ზემოქმედების მუშაობის დაბოლოებული კომისია

**FRIEDRICH  
EBERT  
STIFTUNG**



ბიზნეს სექტორის პერსპექტივები ეროვნულ დონეზე  
განსაზღვრული წვლილის (NDC) ვალდებულების  
ქრილში

2020



პუბლიკაცია მომზადდა პროექტის - „ბიზნეს სექტორის მზადყოფნა საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)-ს შესრულებასთან დაკავშირებით“ ფარგლებში

პროექტს ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ავტორები: ნანა მეფარიშვილი, ავთანდილ გელაძე, თამაზ ვაშაკიძე  
რედაქტორი: ცაცა ჟორდანი

## ბიზნეს სექტორის პერსპექტივები ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) ვალდებულების კრილში

კლიმატის ცვლილებაზე მეცნიერებმა ინტენსიური საუბრები დაიწყეს XX საუკუნის 60-იანი წლებში.

პოლიტიკოსებმა, მეცნიერების საგანგაშო პროგნოზებზე, რეაგირება გლობალურ დონეზე დაიწყეს XX საუკუნის 80-იანი წლებიდან.

ათწელიწადზე მეტი დრო დასჭირდა იმას, რომ ინიცირებული, შემუშავებული და მიღებული ყოფილიყო პირველი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება კლიმატის ცვლილების სფეროში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC), რომელიც საბოლოოდ შეთანხმებული და ხელმოწერილი იქნა 154 სახელმწიფოს მიერ, „მსოფლიო სამიტის“ სახელით ცნობილ, 1992 წლის 3-14 ივნისს გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსა და განვითარების რიო-დე-ჟანეიროს საერთაშორისო კონფერენციაზე (UNCED).

დღეისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას 197 მონაწილე მხარე (სახელმწიფო) გააჩნია და ახალი გამოწვევების საპასუხოდ მისი უწყვეტი განვითარების პროცესის ფარგლებში კონვენციის ეგიდით მიღებული იქნა 1997 წლის კიოტოს ოქმი და 2015 წლის პარიზის შეთანხმება.

კლიმატის ცვლილების საკითხები ასევე ასახულია მთელ რიგ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში, რომელთაგან აღსანიშნავია:

- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1994)
- გაეროს კონვენცია გაუდაზნობასთან ბრძოლის შესახებ (1994)
- კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ - ორჰუსის კონვენცია (1998)
- მერების შეთანხმება. 2010 წლიდან საქართველოს დიდმა ქალაქებმა დაიწყეს ჩართვა მერების შეთანხმებაში (COM) და ამჟამად საქართველოს 23 ქალაქი და მუნიციპალიტეტი მასში ჩართული

საქართველო ყველა ზემოხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მონაწილე მხარეა. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა რეგულარული მასშტაბური შეკრება – მონაწილე მხარეთა კონფერენცია (COP) ყოველწლიურად ტარდება. 2020 წელს უნდა ჩატარებულიყო მხარეთა 26-ე კონფერენცია, თუმცა პანდემიის გამო ეს შეხვედრა არ შედგა.

კონვენციის მონაწილე მხარეთა 21-ე კონფერენციაზე (COP-21) შეთანხმებული და კონვენციის მონაწილე 196 საწელმწიფოს მიერ კონსენსუსის გზით მიღებული იქნა კლიმატის ცვლილების თემაზე ბოლოდროინდელი საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება - ე.წ „პარიზის შეთანხმება“. 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით შეთანხმებაზე ხელი მოწერილი ჰქონდა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ყველა მონაწილე მხარეს, რომელთაგან 189 სახელმწიფომ მოახდინა შეთანხმების რატიფიცირება და/ან მასზე მიერთება.

პარიზის შეთანხმება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომელიც არეგულირებს სათბური გაზების ემისიების მიტიგაციის, ადაპტაციისა და ფინანსირების საკითხებს.

შეთანხმების ტექსტი შედგება შესავლის, 29 მუხლის, 131 პუნქტისა და ქვეპუნქტებისაგან.

შეთანხმების მიზანია - XXI საუკუნის II ნახევრისათვის მსოფლიომ მიაღწიოს „წყაროებიდან ანთროპოგენურ ემისიებსა და სათბურის გაზების შთანთქმას შორის ბალანსს“.

ამ მიზნის მისაღწევად დასახულია ამოცანები:

- გლობალური დათბობა შენარჩუნებული იქნეს 20C -ის ფარგლებში და მაქსიმალურად შევეცადოთ, რათა ტემპერატურის ზრდა შეიზღუდოს 1.5 გრადუს ცელსიუსამდე (მუხლი 4/1);
- თითოეული მხარე უზრუნველყოფს თანმიმდევრული, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების მომზადებას, შეტყობინებას და წარმოებას, რომლის მიღწევასაც აპირებს. მხარეები განახორციელებენ შერბილების შიდა ღონისძიებებს ასეთი წვლილის მიზნების მისაღწევად (მუხლი 4/2);

- თითოეული მხარის ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ მომდევნო წვლილში უნდა აისახოს პროგრესი უკვე არსებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილთან შედარებით და უმაღლესი შესაძლებელი ამბიცია, ასევე საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობები, განსხვავებული ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით (მუხლი 4/3);
- განვითარებადი ქვეყანა მხარეები უზრუნველყოფილი იქნებიან დახმარებით ამ მუხლის განსახორციელებლად, იმის გაცნობიერებით, რომ განვითარებადი ქვეყანა მხარეებისთვის დახმარების გაძლიერება საშუალებას მისცემს მათ გამოავლინონ უფრო მეტი ამბიცია თავიანთ საქმიანობაში (მუხლი 4/5);
- თითოეული მხარე უზრუნველყოფს საკუთარი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შეტყობინებას ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ (მუხლი 4/9);
- მხარეები აწარმოებენ მათი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის აღრიცხვას. ანთროპოგენური ემისიების და მშთანთქმელების აღრიცხვისას, მათი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესაბამისად, მხარეები ხელს შეუწყობენ ეკოლოგიურ მდგრადობას, გამჭვირვალობას, სიზუსტეს, სისრულეს, შედარებითობას და თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფენ ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილებას (მუხლი 4/13);
- ყველა მხარე განუხრელად ეცდება დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავებას და შეტყობინებას (მუხლი 4/19);
- და სხვა.

პარიზის შეთანხმებას საქართველომ ხელი მოაწერა 2016 წლის აპრილს, საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება მოახდინა 2017 წლის 8 მაისს და ძალაში შევიდა 2017 წლის 7 ივნისიდან.

პარიზის შეთანხმებით და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების რეალიზაციის მიზნით, საქართველოში დაიგეგმა და ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები.

## კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოში კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი სახელმწიფო პოლიტიკა აისახა:

- I. კონსტიტუციაში
- II. ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებსა და კანონმდებლობაში;
- III. საერთაშორისო ხელშეკრულებებით გაცხადებულ პოლიტიკურ ნებასა და აღებულ ვალდებულებებში;

ამ პოლიტიკური დოკუმენტებისა და მიღწეული შედეგების მიხედვით, კლიმატის ცვლილებისადმი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება დაიყოს 3 პირობით ეტაპად:

- 1) 1992 წლიდან 2005-2006 წლამდე პერიოდი;
- 2) 2006 წლიდან 2016 წლამდე პერიოდი;
- 3) 2016 წლიდან დღემდე პერიოდი.

### 1) 1992 წლიდან 2005-2006 წლამდე პერიოდი

ეს პერიოდი შემოიფარგლებოდა საერთაშორისო პროცესებში ჩართვის სურვილების დეკლარირებით და არ იყო ორიენტირებული შედეგებზე მოკლევადიან პერსპექტივაში. ამ პერიოდისათვის, სახელმწიფო ფორმირების პროცესშია, რესურსები უაღრესად შეზღუდულია. ამ და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, საქართველო მონაწილეობდა საერთაშორისო ღონისძიებებში, ხელს აწერდა კონვენციებსა და სხვა აქტებს, მაგრამ ვერ ახერხებდა ეფექტური კონკრეტული ქმედებების განხორციელებას.

### 2) 2006 წლიდან 2016 წლამდე პერიოდი

ამ პერიოდში პოლიტიკა კვლავ რჩებოდა სურვილების დეკლარირების ფორმატში და პრობლემების რეალური გადაჭრა კვლავ გადაიდო შორეული პერსპექტივისათვის. რესურსების უკმარისობას დაემატა ამ პერიოდის ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი ფსადაური მიდგომები. უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები ხშირად აკეთებდნენ გაუთვლელ და პოპულისტურ განცხადებებს. ასე გამოც-

ხადადა საქართველო „კარბონლიან“ ქვეყნად, გაკეთდა განცხადება ქვეყნის სატრანსპორტო პარკის უმეტესი ნაწილის ელექტრომობილებით ჩანაცვლების შესახებ და სხვა, რაც შემდგომში არ შესრულებულა.

### 3) 2016 წლიდან დღემდე პერიოდი

ეს პერიოდი ხასითდება კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი პოზიტიური და გეგმაზომიერი მიდგომებით. გააქტიურდა შედეგებზე ორიენტირების ვექტორი. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციულობის ელემენტები და პასუხისმგებლობის ამბლებს მცდელობა თითქმის მთლიანად უკავშირდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას.

მიუხედავად პოზიტიური დინამიკისა, არც ეს პერიოდი ყოფილა დაზღვეული ისეთი გადაწყვეტილებების მიღებით, რომელიც უზრუნვეყოფილი არ იყო შესაბამისი რესურსებით და დეკლარირებული ვალდებულებები შეუსრულებელი რჩებოდა წლების განმავლობაში.

საწყის ეტაპზე გრძელდებოდა ტენდენცია, როცა ხელისუფლება ორიენტირებული იყო ქვეყნის გარედან ფინანსური რესურსების მოზიდვაზე და სუსტად იყო გამოხატული გამოწვევების საკუთარი რესურსებით დაძლევის მცდელობა.

ასეთი მიდგომები კლიმატის ცვლილების თემას უკარგავდა აქტუალობას და აქვეითებდა სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობას, საზოგადოებაში ვერ ქმნიდა პრობლემების დაძლევაში აქტიური მონაწილეობის განწყობას.

## საერთაშორისო შეთანხმებები და საქართველოს კანონმდებლობა

### საერთაშორისო ვალდებულებები

საქართველო შეუერთდა კლიმატთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საერთაშორისო შეთანხმებას:

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია საქართველომ ოფიციალურად აღიარა და რატიფიკაცია გაუკეთა 1994 წლის 16 მაისს (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მაისის N 302 დადგენილება) (საქართველო წარმოადგენს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის დანართ I-ში არჩართულ ქვეყანას);

კიოტოს ოქმი, რომელიც მიღებული იქნა 1997 წლის 11 დეკემბერს (ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს), საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 1999 წლის 28 მაისს (საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის დადგენილება #1995-III);

2010 წლიდან ქვეყნის დიდმა ქალაქებმა დაიწყეს ჩართვა მერების შეთანხმებაში (COM) და ამჟამად 23 ქალაქი და მუნიციპალიტეტი მასში ჩართული;

2010 წელს შევეერთდით კოპენჰაგენის შეთანხმებას და განვაცხადეთ - „საქართველო გადადგამს ნაბიჯებს, რათა მიაღწიოს გაზომვად, ანგარიშგებით და შემოწმებით (MRV) გადახრას საბაზისო სცენარიდან, რომელიც მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი იქნება ფინანსებით, ტექნოლოგიებითა და შესაძლებლობების შექმნით“;

2016 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის თანმიმდევრულობისა და გააქტიურების საქმეში;

საქართველო, 2017 წლის 7 ივნისს, ოფიციალურად შეუერთდა 2015 წლის 12 დეკემბრის პარიზის შეთანხმებას;

და ა.შ.

ბოლოდროინდელი საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს მიერთება ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან.

აღნიშნულ ხელშეკრულებასთან მიერთების რატიფიცირება საქართველომ 2017 წლის 21 აპრილს მოახდინა. იმდენად, რამდენადაც კლიმატის ცვლილების გამომწვევ ფაქტორებს შორის უმთავრეს როლი ეკუთვნის ენერგეტიკის სფეროს, ამ გაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შერულება გადამწყვეტ როლს ითამაშებს როგორც ენერგეტიკული და პოლიტიკური უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებაში, ასევე ამ სფეროდან ემისიების მნიშვნელოვანად შემცირების საქმეში.

## საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად ჩატარდა კვლევები და შემუშავდა დოკუმენტები:

- პირველი, მეორე და მესამე ეროვნული შეტყობინება, მიმდინარეობს მეოთხე ეროვნული შეტყობინების დასრულების პროცესი;
- 2010-2013 წლების სათბურის გაზების ინვენტარიზაცია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი პირველი და 2015-2017 წლების მეორე ორწლიური განახლებული ანგარიშები;
- და სხვა

2015 წლის სექტემბერში, საქართველომ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს წარუდგინა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი“-ს დოკუმენტი (INDC), რომლის მიხედვითაც საქართველო გეგმავდა:

- 2030 წლისთვის უპირობოდ შეამციროს სათბურის გაზების გაფრქვევები 15%-ით, ტრადიციული ბიზნესის (BAU) სცენარის დონის ქვემოთ;
- ეს 15% შესაძლოა 25%-მდე გაიზარდოს დაბალი ღირებულების ფინანსურ რესურსებზე და ტექნოლოგიაზე ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

ამ ვალდებულებების შესასრულებლად:

- გარკვეულ დონეზე შეფასდა კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს მოწყვლადობა;
- 2017 წელს მომზადდა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობისათვის;
- ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის დახმარებით 2020 წელს დასრულდება „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესახებ“ NDC - დოკუმენტის შემუშავება;
- საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების მზადების პროცესში, ჩატარდა კვლევა „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობა კახეთში“;
- მომზადდა კანონპროექტები „საქართველოს ტყის კოდექსი“, ენერგოეფექტურობის, შენობების ენერგოეფექტურობის, ენერგოეტიკეტირების, განახლებადი ენერჯიების შესახებ და მათი ნაწილი უკვე მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ;
- და სხვა.

განვიღო პერიოდში საქართველომ შეიმუშავა კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის არაერთი სახელმწიფო პროგრამა და პროექტი. გარკვეული ძალისხმევა მოხმარდა მათ განხორციელებასაც:

- საქართველო მუშაობს „ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ღონისძიებები“ (NAMA) პროექტების მომზადებაზე. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მომზადდა ოთხი პროექტი (NAMA), რომელთაგან 1 განხორციელდა.
- 2018 წლის ბოლოს დაიგეგმა გაზომვის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემის ჩამოყალიბება, შემუშავდა კონცეფცია და მიმდინარეობს მისი განხორციელება.
- ევროკავშირის (EU) მერების შეთანხმებაზე (COM) ხელმომწერმა მუნიციპალიტეტებმა აიღეს ვალდებულება სამოქმედო ტერიტორიაზე 2020 წლისთვის 20%-ით შეამცირონ ემისია.
- მიღებულია კანონები „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (მიღებულია 2014 წლის 26 დეკემბერს #2994-რს) და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (მიღებულია 2017 წლის 1 ივნისს #890-III);
- და სხვა.

## საქართველოს კანონმდებლობა

### საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოში გარემოს დაცვა კონსტიტუციითაა გარანტირებული.

2018 წლიდან დეკემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და შემდეგი ნორმა:

მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, ისარგებლოს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას უზრუნველყოფს კანონი.
2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა და მდგრადი ეკოლოგიური განვითარება უზრუნველყოფილია კანონით.

შინაარსობრივად მსგავსი ნორმა მოქმედებდა 1995-2018 წლების კონსტიტუციაშიც.

სახლმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საქართველო ინტენსიურად მუშაობდა გარემოს-დაცვითი კანონმდებლობის შემუშავება-მიღებაზე და 2000 წლისათვის უკვე მოქმედებდა საკონსტიტუციო მოთხოვნებსა და თანამედროვე ღირებულებებზე ორიენტირებული კანონები და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

შემდგომ პერიოდებში, ლეგალურმა ბაზამ არაერთხელ განიცადა როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ცვლილებები, ამჟამად კი მიმდინარეობს საერთაშორისო მოთხოვნებთან მათი ჰარმონიზაციის პროცესი.

კლიმატის ცვლილების თანამედროვე გამოწვევები ფონზე სუსტად გამოიყურება უშუალოდ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის მოდერნიზების პროცესი, კონსტიტუციით დადგენილი ნორმები სრულად არ არის ასახული სტრატეგიულ დოკუმენტებში, კანონებში და სხვა ნორმატიულ აქტებში.

კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის პროცესი ხორციელდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ყოველწლიური სამუშაო გეგმების მიხედვით, თუმცა კანონმდებლობებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის გამო ჰარმონიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ.

საქართველოს დღემდე არ გააჩნია მოქმედების ერთიანი სისტემური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების საკითხებზე რეაგირების, მათ შორის საადაპტაციო თუ სამითიგაციო გეგმების მომზადებას და დანერგვას (ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმაზე CAP).

კლიმატის ცვლილების კუთხით დონორი ორგანიზაციების დახმარებით შემუშავებული გეგმები არ განიცდის სისტემურ შეფასებას, სუსტად ხორციელდება კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების ანალიზი, დანერგვა.

კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში მომზადებული ანგარიშების ფორმატში შემუშავებული საადაპტაციო გეგმები ჯეროვნად და სრულად არ არის გაზიარებული სახელმწიფო სამსახურების მიერ და მათი მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია ხდება მხოლოდ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში.

1992 წლიდან, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და ერთპიროვნული მმართველი იყო პრეზიდენტი (სახელმწიფოს მეთაური), 2004 წლიდან ამოქმედდა მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, ხოლო 2019 წლიდან აღმასრულებელი ხელისუფლების სრული ძალაუფლება გადავიდა პრემიერ მინისტრის კომპეტენციაში.

შესაბამისი კანონის არ არსებობის პირობებში, კლიმატის თემაზე სახელმწიფო რეგულირების ძირითად აქტს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (2013 წლამდე) და მთავრობის დადგენილება, ხოლო 2013 წლიდან მთავრობის დადგენილება.

2015 წლამდე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის სულ 3 ბრძანებულება და საქართველოს მთავრობის 8 დადგენილება.

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები:

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 630 (1996 წლის 23 სექტემბერი) „კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის, კლიმატის ცვლილების პრობლემათა სახელმწიფო კომისიის, მისი დებულებისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“
2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №230 (1999 წლის 30 აპრილი) „კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის, კლიმატის ცვლილების პრობლემათა სახელმწიფო კომისიის, მისი დებულებისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №630 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №720 (2005 წლის 25 აგვისტო) „საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

## საქართველოს მთავრობის დადგენილებები:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №172 (2005 წლის 29 სექტემბერი) საქართველოში „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის“ „კიოტოს ოქმით“ გათვალისწინებული „სუფთა განვითარების მექანიზმის“ განხორციელების კოორდინაციის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №248 (2006 წლის 27 დეკემბერი);
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №169 (2007 წლის 16 აგვისტო),
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №162 (2008 წლის 30 ივლისი),
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №67 (2009 წლის 31 მარტი),
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება №203 (2011 წლის 13 მაისი),
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 (2014 წლის 10 აპრილი)
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება №585 (2014 წლის 02 ოქტომბერი)

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით № 630 (1996 წლის 23 სექტემბერი) დამტკიცდა კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამა, კლიმატის ცვლილების პრობლემათა სახელმწიფო კომისია, ამ კომისიის დებულება და სამუშაო გეგმა.

1999 წლის 30 აპრილის №230 ბრძანებულებით ცვლილება შევიდა კომისიის შემადგენლობაში.

2005 წლის 25 აგვისტოს №720 ბრძანებულებით კი ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოთ აღნიშნული ორივე ბრძანებულება.

ამ უკანასკნელი აქტივით კლიმატის თემა გადავიდა მთავრობის რეგულირების სფეროში, თუმცა არც ეს გზა აღმოჩნდა ქმედითი და შედეგიანი:

მთავრობამ, პრეზიდენტის ბოლო ბრძანებულებაზე ოპერატიულად რეაგირებისა და ვაკუუმის შევსების მიზნით 1 თვეში შეიმუშავა და მიიღო დადგენილება № 172 (2005 წლის 29 სექტემბერი) „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის“ „კიოტოს ოქმით“ გათვალისწინებული „სუფთა განვითარების მექანიზმის“ განხორციელების კოორდინაციის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ, თუმცა მთავრობის დამოკიდებულება აღმოჩნდა უფრო ზედაპირული, ვიდრე პრეზიდენტის, რადგანაც საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის გარდა, მთავრობამ საბჭოს არ დაუსახა მიზანი, არ განსაზღვრა მისი პასუხისმგებლობა, არ იმსჯელა საბჭოს ქმედუნარიანობისა და ანგარიშგების არცერთ საკითხზე, არ განსაზღვრა რესურსული პოტენციალი და სხვა.

მთავრობამ, საბჭოს დებულების შემუშავება-დამტკიცების, ფუნქციონირებისა და ანგარიშგების უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების სრული სპექტრი გადაულოცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რითაც კიდევ ერთხელ დააკნინა საკითხის აქტუალობა და სტატუსი.

ბუნებრივია, რომ შემდგომში, საბჭოში შეყვანილი სხვა სამინისტროების წარმომადგენლების ენთუზიაზმი და პასუხისმგებლობა არ ყოფილა ადექვატური და შედეგიანი.

შემდგომ პერიოდში (2005 წლის შემდეგ), კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული მომდევნო 7 დადგენილებიდან, ყველა მათგანი შეეხებოდა პირველ (№ 172) დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ცვლილებას და არ შეხებია

არცერთ შინაარსობრივ საკითხს.

მთავრობას არ მოუხმენია საბჭოს ანგარიში, არ განუხილავს მათი პრობლემები თუ წარმატებები.

იმედისმომცემია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 იანვრის #54 დადგენილება „კლიმატის ცვლილების საბჭოს შექმნის შესახებ“.

მთავრობამ განსაზღვრა საბჭოს შემადგენლობა და დამატკიცა დებულება, სადაც ნათლადაა განსაზღვრული საბჭოს მიზნები და ამოცანები, პროცედურების, ანგარიშგების მექანიზმები და სხვა, რაც იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე სახელმწიფო რესურსების მობილიზება და კონკრეტული შედეგების მიღწევა.

ლეგალური ბაზის კვლევის მიზნით დეტალურად გაანალიზდა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პარლამენტში შესული კანონპროექტები და მიღებული კანონები.

საქართველოს პარლამენტში, 2013 წლის 30 მაისიდან 2019 წლის 30 მაისამდე, შესულია სულ 300 კანონპროექტი. მათგან გარემოს დაცვის სფეროს შეეხებოდა 107, საიდანაც:

- 9 ეხებოდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს;
- 5 ეხებოდა „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს;
- 3 ეხებოდა „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ კანონში ცვლილებებს;
- 11 ცვლილება შევიდა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში;
- 10 ცვლილება ეხებოდა ნარჩენების თემას;
- 12 ცვლილება ეხებოდა ცვლილებებს სატყეო სფეროში;
- 6 ცვლილება ეხებოდა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონს;
- 8 ცვლილება შევიდა „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში;
- 6 ცვლილება შევიდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში;
- 13 ცვლილება შევიდა დაცული ტერიტორიების კანონმდებლობაში;
- და სხვა.

ამ კანონპროექტების და შემდომ უკვე მიღებული კანონების დიდი უმრავლესობა ეხება ტერმინების დაზუსტებას და მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციიდან გამომდინარე, უფლებამოსილი სამთავრობო სტრუქტურების სახელწოდებების ცვლილებას.

განალიზებული 107 კანონპროექტიდან მხოლოდ ერთში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ მოიხსენიება სიტყვა „კლიმატი“ და აქაც ეს თემა არ არის პრიორიტეტული.

კლიმატის ცვლილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონში (მუხლი 4) ერთერთ ბოლო მიზნადაა მითითებული სკრინინგის ეტაპისათვის და შემდგომ (მუხლი 7/6) ისიც აღარ მოიხსენიება, როგორც სკრინინგის კრიტერიუმი!

კლიმატის კომპონენტი აღარ ფიგურირებს ამავე კანონის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის სავალდებულო კრიტერიუმიდან (მუხლი 26. სგშ-ის ანგარიში).

გარემოსდაცვითი ხასიათის ნორმები უდაოდ ახდენენ პოზიტიურ გავლენას კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების შერბილებასა და პროცესების დარეგულირებაზე, მაგრამ მათი ეფექტურობა მნიშვნელოვნად ამადლდებოდა, თუ კანონების მიზნები და ამოცანები განხილული იქნებოდა კლიმატის ცვლილების კონტექსტში.

## **გარემოს დაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტები**

საერთაშორისო დონეზე აღეული ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოში შემუშავდა არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი – სახელმწიფო პროგრამა და სამოქმედო გეგმა:

- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2016-2019 და 2020-2023 წლებისათვის;
- „დაბალემისიანი სტრატეგია საქართველოსათვის“ (LEDS) (2017 წელს). (არაოფიციალური სტატუსის მიუხედავად აქტიურად გამოიყენება კლიმატის ცვლილების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების საფუძვლად);
- საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა II ეროვნული პროგრამა (NEAP-2) (დამტკიცებულია

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #127 განკარგულებით);

- საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა III ეროვნული ეროვნული პროგრამა (NEAP-3) (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისი #1124 განკარგულებით);
- საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებებთა გეგმა 2014-2020 წლებისათვის (NBSAP) (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისი #343 დადგენილებით);
- საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-2) (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის #680 დადგენილებით);
- განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NREAP);
- ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისათვის (NEEAP);
- მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმა (SEAP) და მდგრადი ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP) მუნიციპალიტეტებისათვის;

კლიმატის ცვლილების გამომწვევ ფაქტორებში საქართველოს მიზერული წვლილის მიუხედავად, სტრატეგიული დოკუმენტების უმრავლესობა მიზნად ისახავს ემისიების შემცირებისა და ადაპტაციის რიგი ღონისძიებების განხორციელებას, სასურველი შედეგების მიღწევას და ამ მიმართულებით პოზიტიური, შეუქცევადი პროცესების დამკვიდრებას.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ჯეროვნადაა დაფინანსებული ადაპტაციის ღონისძიებები სამელო-რაციო სისტემების განვითარების თვალსაზრისით, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მყარი ნარჩენების პრობლემებს.

დაფინანსების სიმცირის მიუხედავად, პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა და დაცული ტერიტორიების სისტემის გაფართოება-გაუმჯობესებისათვის დათმობილი ყურადღება. წინადადებული ნაბიჯია ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ფორმირება-განვითარების მხარდაჭერა, სოფლების გაზიფიცირების პროექტი და სხვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სტრატეგიული დოკუმენტების ამოქმედების კუთხით, სახელმწიფო პოლიტიკაში კვლავ თავი იჩინა ფასადურმა მიდგომებმა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მთავარ საქმედ იქნა მიჩნეული ამ დოკუმენტის შემუშავება და შემდგომში არ მოხდა მათი სრულფასოვანი განხორციელება/აღსრულება, რიგი დოკუმენტები არ იქნა მხარდაჭერილი შესაბამისი რესურსებით.

## უფრო მეტიც:

„დაბალემისიანი სტრატეგია საქართველოსათვის“ (LEDS), განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NREAP) და ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისათვის (NEEAP) არ იქნა ოფიციალურად აღიარებული და ისე მიიწერა მათი მოქმედების ვადა, რომ განიხილებოდა „სამუშაო ვერსიებად“.

სტრატეგიული დოკუმენტებიდან ყველაზე მეტად აქტუალურია „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები“, რადგანაც ეს ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის (სახელმწიფო ბიუჯეტი) განუყოფელი ნაწილია და 3 წლის განმავლობაში განსაზღვრავს ბიუჯეტის ხარჯვის პრიორიტეტებს. იგი ყველაზე მეტად რეალიზებადია ფინანსური და ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის გამო.

**2016-2019 წლებისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე საქართველო გაატარებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან ფინანსებითა და ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ კლიმატის ცვლილების „ეროვნულად მისაღებ შემარბილებელ ქმედებებს“ რაც, ასევე, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ენერგოდამზოგავი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვას.**

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ შესაძლო საფრთხეებს ეხება ამ დოკუმენტის ის ნაწილიც, რომელშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს ხედვა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებაზე.

2016-2019 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის სპეციალური თავი ეძღვნება გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. რომელიც განსაზღვრავს უშუალოდ კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის საკითხებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მომზადდება კლიმატის ცვლილებასთან ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმა და დაბალემისიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია“

თუმცა, ეს ვალდებულებები არ იქნა რეალიზებული.

კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე რეაგირების თვალსაზრისით მნიშვნელოვნადაა პოზიციები შესუსტებული 2020-2023 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებსა და მიმართულებებში, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად.

სპეციალური თავი „2.8.2 გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა“ ძირითადად ეხება სოფლის მეურნეობას, სადაც აქცენტირებულია ადაპტაციის მიმართულება და პრიორიტეტებში თითქმის აღარ მოიხსენიება ემისიების შემცირებისაკენ მიმართული აქტივობები.

ამავე დოკუმენტით მნიშვნელოვანი მიზნებია დასახული ქვეყნის სატრანსპორტო ჰაბად ჩამოყალიბებისა და ტურიზმის კიდევ უფრო მაღალი ტემპებით განვითარების თვალსაზრისით, რაც დაკავშირებული იქნება კიდევ უფრო მეტ ემისიებთან და მათი ნეიტრალიზება მოითხოვს მეტ ძალისხმევას, ფინანსურ და სხვა რესურსებს, რაც არ არის გათვალისწინებული მომავალ 3 წლიან სტრატეგიულ გეგმაში.

ამდენად, საქართველოს სტატეგიული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება შეფასდეს, რომ:

- დოკუმენტების მნიშვნელოვან ნაწილში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის გამოწვევებთან დაკავშირებული გეგმები გაუბედავია, მათში არ იგრძნობა ამბიციური მიდგომა და არსებული რესურსების სრულად ამოქმედების სურვილი;
- დოკუმენტებში დასახული მიზნების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსებით, რაც ნეგატიურად აისახება მათს განხორციელებაზე.

არცთუ სახარბიელო პოლიტიკური ფონის მიუხედავად, კლიმატის ცვლილების გამოწვევების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება პოზიტიურია და ტენდენცია იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს.

კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე საქართველოს რეაგირების ძირითადი პოლიტიკური დოკუმენტებია:

- ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტის მიხედვით;
- კლიმატის სამოქმედო გეგმა (CAP)

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტის მიხედვით, 2020-2030 წ.წ. პერიოდისათვის, საქართველოს მიერ აღებული უპირობო (მხოლოდ საკუთარი რესურსებით) ვალდებულებების სამიზნე სექტორები იყო:

- ენერჯეტიკა;
- სამრეწველო პროცესები;
- სოფლის მეურნეობა;
- ნარჩენები.

დოკუმენტი არ ითვალისწინებდა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას მიწათსარგებლობის და ტყის სექტორში.

„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (INDC), როგორც გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის მიმართ და კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით აღებული პირველი ნებაყოფლობითი ვალდებულება, უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

ამ დოკუმენტმა გამოიწვია არაერთი პოზიტიური შედეგი, ქმედებების გააქტიურება, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ზოგადი სურათის გაუმჯობესების ტენდენცია.

დოკუმენტი გახდა ახალი ხედვებისა და მიდგომების, გლობალური პრობლემებისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და შედეგებზე ორიენტირებული კონკრეტული ქმედებების გენერირების საფუძველი.

პოზიტიურ ცვლილებათა ნათელი მაგალითია ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) და კლიმატის სამოქმედო გეგმაზე (CAP) მიმდინარე სამუშაოების პროცესი.

მთავრობა მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება დასაგეგმი ღონისძიებების არგუმენტირებისა და მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზებას, რაც „ეროვნულ

დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC)“ დოკუმენტის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენდა.

სამწუხაროა, რომ ზოგადი პოზიტიური ტენდენციები ჯეროვნად და სრულად ვერ აისახა პრაქტიკულ გადაწყვეტილებებში და ვერ გარდაიქმნა ასევე პოზიტიურ კონკრეტულ შედეგებად.

საქართველოს მიერ INDC დოკუმენტში დეკლარირებული სურვილები და დაპირებების დიდი ნაწილი, 2019 წლამდე მხარდაჭერილი არ ყოფილა ადეკვატური პოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და შესაბამისი რესურსებით, რის გამოც მათი რეალიზაცია მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და ისიც დიდწილად დონორების დახმარებით.

სრულყოფილად არ განხორციელდა INDC დოკუმენტში მთავრობის მიერ გაცხადებული დაპირება, რომ „საქართველოში ემისიების შემცირების მისაღწევად გატარდება კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი ეროვნული პოლიტიკა, კერძოდ:

- 2016 წელს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, უნდა ამოქმედებულიყო ახალი ტყის კოდექსი და მასთან დაკავშირებული ყველა კანონქვემდებარე აქტი (ტყის კოდექსი მიღებული იქნა მხოლოდ 2020 წელს).
- 2017 წლისათვის უნდა დასრულებულიყო სატყეო მონიტორინგის ახალი სისტემა (არ დასრულებულა);
- 2018 წელს დაიწყო, და დღემდე არ დასრულებულა კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა „კლიმატი 2021-2030 წწ“ (ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია);
- დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიისათვის (LEDC) მთავრობას დღემდე არ მიუნიჭებია ოფიციალური სტატუსი;
- 2020 წლამდე პერიოდში უნდა ეხელმძღვანელა „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიაში რეკომენდირებული ემისიების შემცირების ღონისძიებებით (ამ დოკუმენტის შესაძლებლობებისა და რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეუსრულებელია);
- და სხვა.
- შეუსრულებელი რჩება ვალდებულება იმის თაობაზე, რომ საქართველო „გადადგამს ნაბიჯებს, რათა მიღწეულ იქნას საბაზისო სცენარიდან (ტრადიციული ბიზნესის შესატყვისი დონიდან) გაზომვადი, ანგარიშგებადი და შემოწმებადი გადახრა, მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი ფინანსებით, ტექნოლოგიებითა და პოტენციალის შექმნით“. ამის გამო შეუძლებელია INDC დოკუმენტით აღებული ვალდებულებების, შესრულებული, ან შეუსრულებელი პარამეტრების რაოდენობრივი შეფასება.
- ეროვნულ დონეზე (სფეროები, დარგები, ბიზნეს ობიექტები და სხვა) სათბური აირების ემისიისა და შთანთქმის აღრიცხვა და დათვლა კანონმდებლობით არ არის სავალდებულო (არ არსებობს სათანადო საკანონმდებლო ბაზა), არ მიმდინარეობს ადგილობრივი სპეციალისტების მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობასთან დაკავშირებით ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს (<https://tenders.ge/tenders/5360/service-purchase-green-region.html>), მაგრამ მათში არაა შეტანილი სათბური აირების ემისიების ინვენტარიზაციის შედეგები. ასეთი აღრიცხვა არ ხორციელდება ცენტრალურ, მუნიციპალურ დონეზე და არც ბიზნეს - სუბიექტების მიხედვით.
- სათბური აირების ემისიებზე მონიტორინგის სისტემის უმოქმედობის და საიმედო საწყისი სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო შეუძლებელი ხდება გეგმების ამბიციურობის და მიღწეული შედეგების შეფასება, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დადგენა-კორექტირება.
- საზოგადოებრივი სექტორის აქტიურად არ იყო ჩართული კლიმატის ცვლილების შერბილებისა და გარდაუვალ შედეგებთან ადაპტაციის საქმეში
- და სხვა.

წინა დოკუმენტთან (INDC) შედარებით, პოზიტიურია ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის პროექტი, რომელიც 2020 წლის ივნისში საჯარო განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

წინა დოკუმენტისაგან განსხვავებით ”ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC-ის)“ ახალი დოკუმენტის პროექტი ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას განიხილავს ქვეყნის ეკონომიკის 6 სექტორიდან:

- ▶ ენერჯის გენერაცია და გადაცემის სექტორი;
- ▶ მრეწველობის სექტორი
- ▶ ტრანსპორტის სექტორი;
- ▶ შენობების სექტორი
- ▶ ნარჩენების მართვა;
- ▶ სოფლის მეურნეობა და სატყეო სექტორი

გაზრდილია ემისიების შემცირების უპირობო ვალდებულება უპირობო ვალდებულება:

„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC)“ დოკუმენტის უპირობო ვალდებულება გულისხმობდა 2030 წლისათვის არაუმეტეს 32 66 მლნ ტონის ემისიების გაფრქვევას. ახალი დოკუმენტი კი გულისხმობს 2030 წლისათვის არაუმეტეს 31 2 მლნ. ტონა ემისიების გაფრქვევას. ანუ ზედა ზღვარი შემცირებულია 1 46 მლნ. ტონით, ე.ი. 4 5 %-ით.

ასევე კლების (ამბიციური) ვალდებულებაა აღებული პირობიანი ვალდებულებების მიხედვითაც და 28 31 მლნ ტონა (INDC) ზედა ზღვარის შემცირება იგეგმება 24 მლნ ტონამდე ან 20 64 მლნ ტონამდე შემცირება (50-57%-იანი კლება) (საერთაშორისო მხარდაჭერის შესაბამისად).

არაეთი მიმართულებით რიგი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC-ის)“ ახალი დოკუმენტის პროექტი ნაკლებად ითვალისწინებს საადაპტაციო მიმართულებით რაიმე ძვრებს. დაგეგმილია, რომ მომავალი 10 წელი დაეთმობა მხოლოდ კვლევებსა და შეფასებებს და არ ითვალისწინებს რაიმე აქტივობას ამ კვლევების შედეგების მიხედვით კონკრეტული საადაპტაციო ღონისძიების განხორციელების თვალსაზრისით.

პროექტი, ისევე როგორც კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებული სხვა სამთავრობო გეგმები და აქტივობები, თითქმის არ ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან ბრძოლაში საზოგადოებისა და მთლიანად მოსახლეობის აქტიურ ჩართვას. მასში არ არის აქცენტირებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და საერთო მიზნის მისაღწევად საზოგადოების მობილიზების საკითხები.

მაღალმთიანი ტერიტორიების მოწვლადობის პარალელურად, დოკუმენტი არ ითვალისწინებს სანაპირო ზოლის, არიდული, სემიარიდული, სემიჰუმიდური და სხვა მოწყვლადი ეკოსისტემების რისკების მართვას;

დოკუმენტის ერთერთ ძირითად დანიშნულებად გაცხადებულია, რომ ის წარმოადგენს კლიმატის სამოქმედო გეგმის საფუძველს და ძირითადი პარამეტრების განმსაზღვრელს, მე-4 თავში კი როლები შეცვლილია და სამიზნე მაჩვენებლების წყაროდ წარმოდგენილია კლიმატის სამოქმედო გეგმა (მუხლი 51, 53);

ასეთი დონის დოკუმენტისათვის (იგი ამავდროულად კლიმატის სამოქმედო გეგმის საფუძველიცაა), სრულიად არასაკმარისია შესაბამისი სექტორიდან ემისიების შესამცირებლად დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც შემოიფარგლება „მხარდაჭერისა“ და „წახალისების“ ზოგადი ფრაზებით (მუხლები 52, 54, 56);

ამბიციურად არ გამოიყურება 2030 წლისათვის სათბური აირების შთანთქმის ტყის პოტენციალის 10%-ით გაზრდა, რადგანაც ასეთი ზრდის მიღწევა შესაძლებელია საქართველოს ტყეებზე განსაკუთრებული ზრუნვის გარეშე, მხოლოდ ბუნებრივი განახლებისა და ბუნებრივი შემატების ხარჯზეც (მუხლი 57);

და სხვა.

საქართველოს მთავრობა ამზადებს კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, როგორცაა „კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა“ (CAP), თუმცა ამ ეტაპზე ამ დოკუმენტის სამუშაო ვერსია გასაჯაროებული არ არის, რის გამოც მისი შეფასება.

## სექტორების ძირითადი ამოცანები, ახალი ტექნოლოგიები და ცირკულარული ეკონომიკა

მრავალი ათწლეულის განმავლობაში, ალბათ სამრეწველო რევოლუციის საწყისებიდან, ადამიანის მიერ შექმნილმა ბიზნეს-საქმიანობამ წარმოშვა დამატებითი შესაძლებლობა სათბური ეფექტის განვითარებისათვის, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე და თვითონ ბიზნესის ფუნქციონირებაზე. დღესაც და მომავალშიც კლიმატის ცვლილების დონე არის და იქნება დამოკიდებული იმ ძალისხმევის ეფექტიანობაზე, რომელიც გარემოში სათბური გაზების გაფრქვევას შეზღუდავს. კლიმატის ცვლილების გამო წარმოქმნილი მუქარების და გამოწვევების შემცირებისათვის და გარემოში შექმნილი

მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველა სახის ბიზნეს-სუბიექტებმა ან უნდა შეარბილოს კლიმატის შეცვლის ზეგავლენა ან შეძლოს ადაპტაცია კლიმატის ყოველდღიურ ცვლილებებთან. ანუ ორიენტირება გააკეთოს თავისი საქმიანობის ეკოლოგიურობაზე.

ეკოლოგიურად ორიენტირებული ბიზნესი მოგვცემს საშუალებას მკვეთრად შევცვალოთ ქვეყანაში ეკოლოგიური სიტუაცია, გავაუმჯობესოთ გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება. ცხადია, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაბამის დონეზე გასვლა, შეუძლებელია ბიზნესში და განსაკუთრებით მცირე ბიზნესში ინოვაციური მართვის, მენეჯმენტის საყოველთაო დანერგვის გარეშე. საქართველოში, ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებაზე, სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა დონეზე მოქმედი რიგი ეკონომიკური და იურიდიული ფაქტორები ახდენენ გავლენას. მათ შორის ინოვაციური ეკონომიკის და ეროვნული ინოვაციური სისტემის საფუძვლების არარსებობა, ანუ საკანონმდებლო, სტრუქტურული და ფუნქციონალური კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში ინოვაციურ საქმიანობას უზრუნველყოფს.

ინოვაციური საქმიანობა - სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართული დაგროვილი ცოდნის, ტექნოლოგიების და მოწყობილობის კომერციალიზაციაზე.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება და სრულფასოვანი ფუნქციონირება, მისი კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია სახელმწიფოს და ბიზნესის მხრიდან, მისი სწორად გააზრებაზე და აქტუალობის გათავისებაზე. განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ხარისხი განისაზღვრება ეროვნული საინოვაციო სისტემის ფარგლებში დროული და ეფექტიანი ქმედებების გატარებით, სადაც მთავარი ადგილი ინოვაციურ მენეჯმენტს უკავია. მაგალითად, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემცირების მიზნით, ბიზნესის სფეროში ინოვაციური მენეჯმენტის ფორმირების და განვითარების ასპექტების შემუშავება. ენერჯო-ეფექტურობის ღონისძიებების (ეელ) და არატრადიციული განახლებადი ენერჯის წყაროების (აგეწ) დანერგვის აუცილებლობის მაგალითებზე, ინოვაციური მიდგომების, მეთოდური რეკომენდაციების და რეალიზაციის მექანიზმების განსაზღვრა. იმისათვის, რომ ღრმად გავაზროთ ინოვაციური მენეჯმენტის შემადგენლები, შემდეგ განმარტებებს უნდა დავყვარდეთ: ტერმინ „ინოვაცია“-ს ავტორის, ი.ა.შუმპეტერის მიხედვით: „ინოვაცია არის კომერციალიზირებული გამოგონება“. აქ ტერმინ „გამოგონებაში“ იგულისხმება ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრება. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, ინოვაცია - ბიზნეს-პრაქტიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქციის (საქონლის და მომსახურების), ტექნოლოგიური პროცესების, ახალი საბაზრო ან ორგანიზაციული მეთოდების გამოყენება. საერთაშორისო ორგანიზაცია FAO ([Food and Agriculture Organization](#)) განმარტებით, ინოვაციები - კლიმატის ცვლილების პირობებში, არის წყალზე, კვების პროდუქტებზე და შემოსავლებზე ხელმისაწვდომობის ერთადერთი გასაღები.

ზოგადად მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები არსებობს, რომლის აღმოფხვრა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ეკონომიკის ეფექტიან განვითარებაზე, მისი რეალური სექტორების მოდერნიზაციაზე. მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად და ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად აუცილებელია წარმოების ეფექტიანი გამართვა, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და თანამედროვე ეტაპზე მე-6 ტექნოლოგიური წყობაზე გადასასვლელად, ტექნოლოგიური ბაზის განახლება და ხარისხობრივი სრულყოფა. ასეთი ქმედებების რეალიზაციისათვის და მდგრადი განვითარებისათვის საკვანძო მიმართულებას „მწვანე“ ეკონომიკა წარმოადგენს. ცნება „მწვანე“ ეკონომიკა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში დიდი ბრიტანეთის მეცნიერებმა 1989 წელს შემოიღეს. 2008-2009 წწ. მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ამ ცნებით სულ უფრო ხშირად სარგებლობდნენ გაეროს სისტემაში, მაგალითად, დიდი ოცეულის სამიტისთვის (G20) 2012 წ., მომზადდა სპეციალური მოხსენება „მწვანე“ ეკონომიკის შესახებ. ამ ცნებას მოყვა ტერმინები: „მწვანე“ ინოვაციები - პირდაპირი და არაპირდაპირ ეკოლოგიური გაუმჯობესებით მიღებული პროდუქტები და წარმართული პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრად განვითარებას“ და „მწვანე“ ტექნოლოგიები (ეკოლოგიური ტექნოლოგიები) - ტექნოლოგიები, საწარმოო პროცესები და მიწოდების ხერხები, რომლებიც წარმოების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, ეკოლოგიურად უვნებელია ან ნაკლებად საზიანო“.

2011წ. გერმანიაში, ე.წ. „ჰკვიანი“ (smart) ქარხნების მშენებლობის დაწყებას, მოყვა ტერმინი „ინდუსტრია 4.0“ შემოღება, რომელიც დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელმა და უცვლელმა პრეზიდენტმა, კლაუს შვაბმა ფართოდ გამოიყენა თავის წიგნში „მეოთხე სამრეწველო რევოლუციის ტექნო-

ლოგიები“. წიგნი გამოიცა 2016 წ. ამ ნაშრომში ავტორმა მეცნიერულად დაასაბუთა ტერმინი „ცირკულარული“ ეკონომიკა, როგორც მე-4 სამრეწველო რევოლუციის ნაწილი, რომლის დანერგვისას ეკონომიკა იქნება უფრო გამჭვირვალე და პროგნოზირებადი, განვითარება - სწრაფი და სისტემური, მთლიანობაში გაიზრდება ბუნებრივი და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენება. ცირკულარული ეკონომიკა. წრიული, წრეშეკრული, ციკლური, ციკლურული. ინგლს.: Circular economy; Cyclic economy; Closed-loop economy, regenerative economy) - ტრადიციული ხაზობრივი ეკონომიკის (შექმნა, მოხმარება, ნარჩენების ჩამარხვა) ალტერნატივა არის, რომელიც ეფუძნება განახლებად რესურსებს.

პირველობას ცირკულარული ეკონომიკის იდეისა იზრახებს კომპანია "Cisco", რომელმაც ჯერ კიდევ 2010 წ. გამოქვეყნებულ მოხსენებში, წარმოადგინა თუ რამდენად რენტაბელურია ინოვაციების დანერგვა, წრიული ეკონომიკისა და ინტელექტუალური აქტივების შეხამებისას. ინოვაციურ მენეჯმენტზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და ეკონომიკურ ზრდაზე დაფუძნებულ ცირკულარულ ეკონომიკას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რომელიც დაახლოებით \$1 ტრილიონ ფასდება. როდესაც ვსაოხრობთ ცირკულარულ ეკონომიკაზე და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის და შერბილების საკითხებზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ტერმინი „ლურჯი ეკონომიკა“ (Blue Economy)... 2009წ ბელგიელმა გიუნტერ პაულიმ, ეკონომიკის დოქტორმა და ცნობილმა მეწარმემ, გააკეთა მოხსენება „რომის კლუბისთვის“ (Club of Rome)- საერთაშორისო არასამთავრობო ანალიტიკური ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა მიმართულია გლობალური პრობლემების შესწავლის სტიმულირებაზე. დაარსებულია იტალიელი საზოგადოებრივი მოღვაწის და პროფესორის ანტონიო პეჩის მირ 1968წ. ამ მოხსენებაში, რომელიც შემდგომ, 2014 წელს წიგნად დაიბეჭდა: „ლურჯი ეკონომიკა: 10 წელი, 100 ინოვაცია, 100 მილიონი სამუშაო ადგილი“, მოცემულია კლიმატის ცვლილებასთან და ეკოლოგიურ პრობლემებთან ბრძოლის მიმართულებები და ხელმისაწვდომი რესურსები, რომელიც ეფუძნება მართვის ინოვაციურ ხერხებს. ავლნიშნავთ, რომ საქართველოში ამ წიგნში მოცემული იდეების რეალიზაცია, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვან საფეხურად ჩვენი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზაზე და ცხოვრების იმ დონესთან მიახლოებისა, რომელიც არის საბაზისო ევროკავშირში შესასვლელად.

ინოვაციური მენეჯმენტი, ინოვაციური პროცესების მართვის მექანიზმების მხარდაჭერით, წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებულ მოქმედებათა კომპლექსს, გამიზნულს საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანობის შესაბამისი დონის მიღწევას და მდგრადობას. ინოვაციური პროცესების მართვის მექანიზმებში პირველ რიგში ისეთი პროცესები იგულისხმევა, რომელთა გარეშე შეუძლებელია მცირე საწარმოს ინოვაციური სტრატეგიული მიზნის მიღწევა. მცირე ბიზნესის მხრიდან NDC-ს დებულებების გასათავისებლათ, აუცილებელია მისი ცოდნის ამაღლება შემდეგ საკითხებში: კლიმატის ცვლილებით განპირობებული რისკები; გლობალური კლიმატური ტრენდები; კლიმატის ცვლილების ზეგავლენა საინვესტიციო პოლიტიკაზე; ბიზნესის ხელმძღვანელობისათვის კლიმატის ცვლილების სფეროში მართვის ახალი პრინციპები. მაგალითად, კლიმატის ცვალებადობასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობაში მუდმივად ხდებოდა საქმიანობის მიმართულებების ცვლილება, მაგრამ დღეს, საგანგებო სიტუაციების ინტენსივობით (გვალვა, წყალდიდობა და ა.შ.), კლიმატის ცვლილება პირდაპირ ემუქრება აგრობიზნესს. აქედან გამომდინარე, ინოვაციური მენეჯმენტის ქმედითობისათვის აუცილებელია ინფორმაცია, რომლის წყაროს წარმოადგენს პროექტები და პროგრამები, განხორციელებული სამთავრობო, არასამთავრობო სექტორების და სხვა სუბიექტების მიერ. ამ მასალების შედეგები, კლიმატის და ბიოლოგიურ სფეროში, ეფუძნება მეცნიერულ ტექნოლოგიებს და ამლიერებს კლიმატის ადაპტაციის და შერბილების პროცესების პოტენციალს. ზოგადად, კლიმატის ადაპტაციის და შერბილების საკითხების საკვანძო კონცეფციები არ არის და არც შეიძლება უნივერსალურად ადგებოდეს ყველა სფეროს. ამიტომ, ქვეყნის ბიზნეს-სუბიექტებთან მუშაობისას, მნიშვნელოვანია ადგილობრივი, ლოკალური კონტექსტები, კერძოთ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ნორმები. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს თანხმობის მიღწევას შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- ინფორმირულობის და ცოდნის ამაღლების დონე;
- ინსტიტუციების გამაგრება;
- გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა;
- ფინანსური უზრუნველყოფა;
- კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე სტრატეგიის შემუშავება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მათთვის ვინც გეგმავს და ახორციელებს ინოვაციურ მენეჯმენტს კლიმატის ცვლილების კონტექსტში, შესაძლოა შევთავაზოთ რამოდენიმე რეკომენდაცია:

- იმისათვის, რომ განხორციელდეს შეწონილი გადაწყვეტილებები და კლიმატის ადაპტაციის და შერბილების სტრატეგიის რეალიზაცია, აუცილებელია ტრადიციულ ცოდნაზე დაყრდნობით, კლიმატის მოდელირების და პროგნოზირების გაუმჯობესება;
- იმისათვის, რომ საფუძვლიანად გავერკვეთ თუ რა შეიძლება მოსდევდეს კლიმატის ადაპტაციის და შერბილების სტრატეგიების განხორციელებას, აუცილებელია, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებში, გაანალიზდეს მომავალში შექმნილი ცვლილებები;
- შესაბამისი წყაროების გავრცელების მეშვეობით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეფექტიანი ინფორმაციის გავრცელება;
- ბიზნესის ნებისმიერ სექტორში უნდა განისაზღვროს მისი მდგრადობა და ადაპტაციური პოტენციალი გარეშე ზემოქმედების მიმართ;
- იმ ინსტიტუციების ურთიერთობა, ვინც უზრუნველყოფს პოლიტიკას მკვლევარებს და საზოგადოების შორის, უნდა იყოს აგებული ტექნოლოგიების და მათი მართვის პროცესებზე, სადაც გათვალისწინებულია ბიზნესის მოთხოვნები და გამოყენებულია მისი ცოდნა და გამოცდილება.

აქ აუცილებლად მიგვაჩნია მოვიყვანოთ 2015წ. პარიზის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული კლიმატისადმი ადაპტაციის ზოგადსაკაცობრიო მიზანი: “საადაპტაციო პოტენციალის გაძლიერება, ეკოსისტემების უნარიანობის ამაღლება საკუთარი ფუნქციების აღსადგენათ და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით სუსტი ადგილების გამოაშკარავება-აღმოფხვრა...“. მოგვხსენებათ, რომ კლიმატის ცვლილების ზემოქმედება შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი ასევე ირიბი და სხვადასხვა ფორმა მიიღოს: ფიზიკური, ფინანსური, ნორმატიულ-სამართლებრივი და ა.შ. აქედან გამომდინარე, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ან შერბილების პროცესები მოიცავს საკმაოდ ფართო არეს და ბიზნესში ინოვაციურმა მენეჯმენტმა უნდა გამოიყოს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური და კონკრეტული პრიორიტეტები. კლიმატის ცვლილების მიმართ, რომლის ზეგავლენასთან ბიზნეს უფრო ხშირი შეხება აქვს, შეიმუშაოს ეფექტიანი, ოპერატიული და რეალიზებადი მეთოდები. ინოვაციურმა მენეჯმენტმა ვექტორალურად უნდა მიმართოს ბიზნესი თანმიმდევრული, რაციონალური და სტრუქტურირებული მიდგომის ჩამოყალიბებაზე კლიმატის ცვლილებისადმი ან ამ ცვლილების ხელსაყრელი თვისებების გამოვლენაზე და გამოყენებაზე. ინოვაციური მენეჯმენტის რეალიზაციის ასეთი ხერხი შესაძლოა გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის და ზომების ბიზნესმა, ვისი საქმიანობა, მომსახურება ან პროდუქტი შეიძლება კლიმატის ცვლილების უარყოფითი თუ დადებითი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდეს. ასეთი მიდგომა არის იტერატიული (განმეორებადი), ხელსაყრელია უწყვეტი განათლებისთვის და რაც მთავარია, ორიენტირებულია მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომელსაც დროს გარკვეულ დიაპაზონში, აძლევს საშუალებას, დახვეწოს ეს მიდგომა ან რადიკალური ზომები მიიღოს. ჩვენს მიერ შერჩეული არაპირდაპირი მეთოდი, ბიზნეს-სუბიექტებს მისცემს საშუალებას გამოიყენოს იგი კლიმატთან ადაპტაციის თუ შერბილების როგორც საწყის ეტაპზე, როდესაც ირჩევენ მიდგომის ფორმას და ადაპტაციის საქმიანობას იწყებენ და იმ ეტაპზეც, როდესაც ამ საკითხებით უკვე დაკავებულნი არიან დროს გარკვეულ მონაკვეთში. წარმოდგენილი მიდგომის აღთქმის გასამართლებლად გთავაზობთ ზემოთ ხსენებული ეტაპების განშლას:

- ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვა;
- ეკოლოგიური ზეგავლენის შეფასება, მათ შორის დადებითი კუთხით;
- კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის და შერბილების ზომების დაგეგმვა ბიზნეს-სუბიექტის მიერ;
- კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის და შერბილების გეგმის რეალიზაცია;
- კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის და შერბილების შედეგების მონიტორინგი და შეფასება;
- ანოლოგიური საქმიანობის ბიზნეს სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლა.

გვინდა ხაზგასმით ავღნიშნოთ ინოვაციური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იმაში, რომ ზოგადად სამეწარმეო და კერძოდ ცალკეული ბიზნესის საქმიანობა მთლიანად მოიცავს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და მათ აპრობაციას. ამასთან, ნებისმიერი ინოვაცია ყალიბდება რიგი გადაწყვეტილებების მიღებაში, დაფუძნებულს აზრების და იდეების შეთანხმების შედეგზე. ყველა შესაძლო ცვლილება ბიზნეს-საქმიანობაში, ტერმინ „ინოვაცია“-ს ავტორმა ი. ა. შუმპეტერმა დაყო 5 კატეგორიად:

1. ახალი ტექნიკის აქტიური გამოყენება შესაბამისი ახალი ტექნოლოგიების თანხლებით.

2. პროდუქციის ახალი თვისების გამოვლენა და მასზე მწარმოებლის და მომხმარებლის აქცენტირება.
3. ტექნოლოგიურ პროცესებში ნედლეულის ახალი სახის გამოყენება.
4. საქონლის და მომსახურების წარმოებაში მატერიალულ-ტექნიკური ბაზის განახლება.
5. გასაღების ახალი მარკეტების გახსნა-აღმოჩენა.


აღნიშნული კატეგორიებიდან გამომდინარე, გთავაზობთ სხვადასხვა დარგში ინტელექტუალურ საკუთრების ბაზაზე შემუშავებულ, ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების ნიმუშებს. საქართველოში მათი კომერციალიზაცია (დანერგვა) ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

## საამშენებლო სექტორი

### ინოვაციური ტექნოლოგიებით თიხებიდან და თიხაფიქალებიდან მსუბუქი თბო და ბგერსაიზოლაციო სამშენებლო მასალების წარმოება

თანამედროვე პირობებში სათბობი რესურსების დაზოგვის აუცილებლობამ მთელ მსოფლიოში ხელი შეუწყო ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების განვითარებას, მათ შორის თბოსაიზოლაციო მასალების წარმოებას, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ნაგებობების და ცხელი ზედაპირების თბური იზოლაცია თბოდანაკარგების თავიდან აცილების მიზნით. ამჟამად მსოფლიოში მრავალფეროვანი ტექნოლოგიებით იწარმოება ორგანული თუ არაორგანული წარმოშობის სხვადასხვა სტრუქტურის თბოსაიზოლაციო მასალა, როგორც დაყალიბებული ნაკეთობების (ფილები, ბლოკები), ასევე ნაყარის (ხრეში, მინერალური ბამბა, აფუებული პერლიტი) სახით. არაორგანული თბოსაიზოლაციო მასალების უპირატესობაა უფრო მაღალი მექანიკური სიმტკიცე, ცეცხლმედეგობა და მდგრადობა მიკროორგანიზმების, მღრღნელების და ქიმიური რეაგენტების მიმართ. საქართველოში, ასეთი მასალების საწარმოებლად მრავლად მოიპოვება ბუნებრივი მინერალური ნედლეული მაგალითად თიხის და თიხა ფიქალის სახით. საქართველო-EU ასოცირების ხელშეკრულებაში პირდაპირ არის მითითებული ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დანერგვის დირექტივები, რასაც კვლევისა და ინოვაციების სფეროში ეყრდნობა შემოთავაზებული დაპატენტებული ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც შეესაბამება საქართველოს მიზანს, უზრუნველყოს მდგრადი და თანაბარი ეკონომიკური განვითარება. თიხების და თიხაფიქალების მაღალტემპერატურულ ინტერვალში თერმული დამუშავებისას, გამოვლინდა მისი თვითაფუების უნარი ყოველგვარი ამაფუებელი დანამატის გარეშე და მოცულობის მკვეთრი ზრდა.

სურათზე (სურ. 1) წარმოდგენილია ლაბორატორიაში წინასწარი კვლევის შედეგად მიღებული აფუებული ფოროვანი მასალის ნიმუში თიხაფიქალის საფუძველზე.



სურ.1

მოცემული კვლევების და გაზომვების შედეგები მიღებულია მკვლევართა ჯგუფის მიერ, ევროსტანდარტების EN13055-1 და EN13055-2 მეთოდის მიხედვით. მსუბუქი ინერტული მასალის - კერამზიტის მიღებისას, ზემოთ ხსენებულ ტემპერატურებზე თიხის მოცულობაში 2-3 ჯერ აფუების ხარჯზე, კერამზიტისგან წარმოებული ბეტონის კონსტრუქციები მსუბუქია, რაც დადებითად მოქმედებს სეისმომდებლობაზე. გამორჩეული ფილტრაციული და სადრენაჟო თვისებების გამო გამოიყენება ტრადიციულ ჰიდროსაინჟინერიო სისტემებში ფილტრაციული დაზვიანვის დროს. საქართველოში წარმოებული ცემენტის მთლიანი რაოდენობიდან - 2 მლნ. ტ, 30%-ი საკედლე ბლოკების და სხვა ნაკეთობების წარმოებაზე მიდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ საკედლე ბლოკს საშუალოდ 2 კგ ცემენტი ესაჭიროება, გამოდის, რომ საქართველოში დაახლოებით 250-300 მლნ ცალი ბლოკი იწარმოება. ზოგადად ასეთი ბლოკი 18-25 კგ იწონის. კერამზიტის გამოყენება საკედლე ბლოკებისთვის, შემდეგ უპირატესობებს მოგვცემს: მაგალითად, აგურის ნაშენთან შედარებით კედლის სისქე საშუალოდ 1,9-ჯერ მცირდება; ნაკეთობის ცალობა - 8-ჯერ; კედლის წონა - 2,35-ჯერ; დუღაბის ხარჯი - 9-ჯერ; ნაშენის სამუშაოების ხანგრძლივობა - 3,5-ჯერ, ხოლო გალესვის სამუშაოების - 4-ჯერ. კერამზიტობეტონისაგან დამზადებული საკედლე ბლოკები ჯამურ წარმოებაში უზრუნველყოფს: კედლის 1მ<sup>2</sup> ღირებულების შემცირებას 25%, მოგვცემს საშუალებას მინიმუმ 40%-დე შევამციროდ მათი წონა.

## სოფლის მეურნეობის სექტორი

### 1. “რუმექს K2” – ინოვაციური მრავალწლიანი საკვები კულტურა

მრავალწლიანი კულტურა “რუმექსი“, რომელიც გამოყვანილ იქნა ინგლისური ისპანახის (ისპანახისებრი მჟავუნა – rumex patientia1) და ტიანშანის მჟავუნის (rumex tianschanicus a.los) ჰიბრიდიზაციით. მიღებულმა ჰიბრიდმა, ვეგეტატიური მასის და მარცვლეულის პროდუქტიულობით, გამძლეობით ბუნების არახელსაყრელი პირობების მიმართ და სხვა დადებითი თვისებებით ბევრად აჯობა მშობელთა წყვილს. ხუთბალიანი სისტემის მეშვეობით, შეფასებულია მიღებული ჰიბრიდის ის მონაცემები, რომლებიც ზოგადად მოეთხოვება საკვებ კულტურებს (სურ.1).

მრავალწლიანი კულტურა “რუმექსის” ძირითადი კრიტერიუმების და მაჩვენებლების შეფასება ხუთბალიანი სისტემით (ცხრ.1):

1. დაგემოვნებითი თვისებები	4
2. ცილიანობა	5
3. მოსავლიანობა	5
4. პროდუქტიულობა	5
5. ვეგეტაციის ინტენსივობა	5
6. ტექნოლოგიურობა	5
7. პლასტიკურობა	4
8. ყინვაგამძლეობა	5
9. გვალვაგამძლეობა	4
10. მდგრადობა მავნებლების დადამცობის მიმართ	4
11. კონკურენტუნარიანობა სარეველების მიმართ	4
12. ზოგადი მდგრადობა	5
13. რენტაბელობა	5
სულ	60

საქართველოში ცნობილ არც ერთ მრავალწლიან საკვებ კულტურას, ასეთი ჯამური მაჩვენებლები არ გააჩნია, მათ შორის “სამყურას” და “იონჯას”.



სურ.1 რუმექსის ყანა

პრაქტიკული მაგალითებიდან სჩანს, რომ მწვანე მასა, მორწყვის გარეშე, ყვავილობამდე, ვეგეტაციის 30 დღეში, ძალიან ინტენსიურად იზრდება და 90ტ/ჰა აღწევს. დღე-ღამის განმავლობაში მცენარე სიმაღლეში 7-8 სმ იმატებს. ერთ სეზონში უპრობლემოდ შეიძლება 2 მოთიბვის ჩატარება. “რუმექსის” ბიოლოგიური მახვებლები განსაკუთრებულ სწრაფ შედეგს ფრინველის და ღორების გაზრდის დროს იძლევა, როდესაც მისი საკვები ერთეულის პოტენციალი მთლიანად გამოიყენება. ამიტომ ამ მცენარის ნათესებს 1 ჰა, ღორის ხორცის 1-1,5 ტ უტოლებენ. მეცნიერთა აზრით, რუმექსის 1 ჰა, საკვები ნივთიერებების შემადგენლობით, იონჯის 6-8 ჰა უდრის, ხოლო რუმექსის მწვანე მასის მოსავალი 1 ჰა-დან უდრის იონჯის მოსავალს 25 ჰა-ან და სიმინდის მოსავალს - 16.

**2. კომპანია Tal-Ya-ს ინოვაცია:** კონტეინერი (სურ.2) რომელიც ტენს ჰაერიდან იღებს. კონსტრუქცია უზრუნველყოფს მცენარის წყლის მოთხოვნის 50%, ადვილათ დასამზადებელია და 10 წელზე მეტს ემსახურება მცენარეს.



სურ.2

## ტრანსპორტის სექტორი:

### გარემოს სისუფთავეზე პირველ რიგში გარემოს დამზინძურებელმა უნდა იზრუნოს


სატრანსპორტო სექტორს ყველაზე მაღალი CO<sub>2</sub>-ის გამოყოფა ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა შედარებით ამცირებს CO<sub>2</sub> შემადგენლობას ტრანსპორტის გამონაბოლქვში, ზოგადად სატრანსპორტო სექტორის განვითარების ტემპები ბევრად აჭარბებს ახალი ტექნოლოგიების იმპლემენტაციის ტემპს. აქედან გამომდინარე, ღონისძიებათა აქცენტირება პასუხისმგებლობის მხრივ უფრო მისამართობრივი უნდა გახდეს... საქართველოში, ნებისთი თუ უნებლიედ ნავთობ-პროდუქტების შემომტანნი 5 კომპანია (სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ („ვისოლი“); შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ („გალფი“); შპს „რომპეტროლ საქართველო“ („რომპეტროლი“); შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ („სოკარი“); შპს „ლუკოილ ჯორჯია“ („ლუკოილი“) CO<sub>2</sub>-ის “გაყიდვაში“ (1 ტ ბენზინის დაწვისას გამოიყოფა 3 ტ-ზე მეტი CO<sub>2</sub>, ძალიან დიდ შემოსავალს იღებენ, ამასთან, 1 ტ საწვავზე (მაგალითად ბენზინზე) იხდიან მხოლოდ აქციზის 500 ლარს, ხოლო დანარჩენ გადასახადებს იხდიან იგივე საპროცენტო განაკვეთით, როგორც სიტყვაზე პატარა მაღაზია ან თონე. საქართველოს მასშტაბით, ეს ხუთი კომპანია 542 ავტოგასამართ სადგურს ფლობს. დათვალეთ, CO<sub>2</sub> გარემოში გაფრქვევის რა სიდიდეებზე გავდივართ თუ მაგალითად, 2018 წელს 5-მა იმპორტიორმა 1 მლნ 111 ათასი ტონა საავტომობილო საწვავი შემოიტანა. ამასთან, ბენზინ და გაზგასამართი სადგურები წელიწადში დამატებით, საკუთარ მოხმარებზე გამოყენებულ ელექტროენერჯის ხარჯით ატმოსფეროში 6 მლნ ტ CO<sub>2</sub> აფრქვევენ. წარმოდგენილ ციფრებზე დაყრდნობით შემოგვაქ ინოვაციური წინადადება ყველა ბენზინ და გაზგასამართ სადგურების სახურავებზე, რომლებიც კონსტრუქციულად ბრტყელია, განთავსდეს მზის ფოტოპანელები (სურ.3), რაც ამ ობიექტებს მისცემს საშუალებას მკვეთრად შეამცირონ ცენტრალიზებული ენერგოსისტემიდან ელექტროენერჯის მოხმარება და შესაბამისად შეამცირონ CO<sub>2</sub> გამომფრქვევა.



## ნარჩენების მართვა

### ხის პელეტები (გრანულები)

ხის პელეტები მზადდება ხის ნახერხითა და ბურბუშელით. ხის ბურბუშელას ამრობენ, ამკვრივებენ და მატრიცაში წნეხავენ, რის შედეგადაც წარმოიქმნება 4-5 მმ დიამეტრისა და დაახლ. 20-25 მმ სიგრძის მცირე ზომის ძელები (პელეტები). პელეტების ერთგვაროვანი ფორმა საშუალებას იძლევა, რომ ეს საწვავი ავტომატურად ხრახნული კონვეიერის მეშვეობით მიეწოდოს წვის პროცესს. გათბობის საჭიროების შესაბამისად, გათბობა პელეტების დანადგარით არის ეკოლოგიურად სუფთა და CO<sub>2</sub>-ნეიტრალური, ვინაიდან ეს გადამუშავებული საწვავი მხოლოდ იმდენ CO<sub>2</sub>-ს გამოაფრქვევს, რამდენსაც ერთი ხე შთანთქავს ზრდის პროცესში. დღესდღეობით გამოიყენება პელეტების გათბობის ორი სხვადასხვა სისტემა: პელეტის ქვაბი ცენტრალური გათბობისათვის და ცალკეული პელეტის ღუმელი. პელეტის ქვაბს აქვს მაღალი სიმძლავრე და შეუძლია ერთი ან მრავალჯახიანი სახლების გათბობა.



## ხის ნაფოტები

ხის ნაფოტებიც მერქნის წარმოების ნარჩენისგან მიღებული ენერგომატარებელია.

ხის პელეტებისაგან განსხვავებით, ხის ნაფოტები მზადდება ხეების ან მერქნის დაუმუშავებელი ნარჩენებისაგან და, რომლებიც კონსტრუქციული გადამუშავებისათვის აღარ გამოდგება. ამ ხის მასალას ჩარხებით ანაფოტებენ. ხის ნაფოტების გათბობის სისტემები განკუთვნილია უმეტესად დიდი ობიექტების, სკოლებისა და ადმინისტრაციული შენობების თბომომარაგებისათვის. გასათბობად CO<sub>2</sub>-ნეიტრალური ხის ნაფოტების გამოყენება კლიმატზე ზრუნვის მაგალითია. ხის ნაფოტების გათბობის სისტემები მუშაობს ბივალენტურ რეჟიმში ტრადიციულ გათბობის სისტემებთან ერთად.

## ბიოგაზი

ბიოგაზი მიიღება სხვადასხვა სპეციალურ ბიოგაზის დანადგარებში ისეთი ბიოლოგიური ნარჩენებისგან, როგორიცაა:

- ბიონაგავი
- გამწმენდი ნაგებობებიდან მორჩენილი ლამი
- საკვების ნარჩენები
- წუნწუხი (თხევადი ნაკელი)
- ნაკელი
- შუალედური კულტურები
- ძველი ცხიმები

ბიოგაზი მიიღება ასევე ენერგომცენარეების მეშვეობითაც. ასეთია მაგალითად:

- სიმინდი
- მარცვლეული
- ბალახი

წარმოებული ბიოგაზით შეიძლება გათბობის სისტემებისა და სითბოელექტრობლოკური სადგურების (BHKW) ექსპლუატაცია. ბიოგაზისგან მიღებული სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ოდენობით ბიოლოგიურ ნარჩენებს შეუძლია ტრადიციული და ძვირადღირებული საწვავის ჩანაცვლება და სოფლის მეურნეობისათვის სასუქის წარმოება. მეთანის გაზი, რომელიც უკონტროლო ხრწნის პროცესის შემთხვევაში ატმოსფეროში მოხვდებოდა, დაწვის შედეგად ნაკლებად მავნე გამონაბოლქვში გარდაიქმნება და თან, ამავდროულად, თერმული ენერგია გამოიმუშავდება.

გამწმენდი ნაგებობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბიოგაზის მომპოვებელი დანადგარები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ საწარმოების ენერგოხარჯების დაზოგვას.

## საყოფაცხოვრებო სექტორის ზეგავლენა ბუნებრივი დათბობის პროცესზე

კლიმატური ცვლილება რომელიც უკვე იღებს შეუქცევად ხასიათს ხდება სერიოზული პრობლემა. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების უყარათოდ გამოყენება და საწვავზე ფასების განუხრელი ზრდა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აისახება მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ნაწილზე.

საქართველოსათვის შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის შეუფერხებლად სწორად იქნას გამოყენებული მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს სათბური გაზების ემისიების შემცირებაზე და გააუმჯობესებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენერგეტიკა თანამედროვე კაცობრიობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ტექნიკის, ეკონომიკის, თუნდაც სოციალური პრობლემების მოგვარება წარმოუდგენელია ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის გარეშე. ტრადიციული საწვავი ჯერ-ჯერობით ენერჯის ყველაზე გავრცელებულ, ხელმისაწვდომ წყაროს წარმოადგენს. შენობები ქვეყნის მთავარი ენერგომომხმარებელი სექტორია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ენერგეტიკული ბალანსების ბოლო ანგარიშების თანახმად საცხოვრებელი, კომერციული და საზოგადოებრივი შენობების მოხმარება ქვეყნის საერთო ენერგომომხმარების 40% -ზე მეტს შეადგენს. ამის გამო შენობა-ნაგებობები მოქმედების მნიშვნელოვანი სფერო ხდება ენერჯის მოხმარების შესამცირებლად ქვეყანაში. მრავალსართულიან შენობებში გათბობასა და ცხეწყალმომარაგებაში დახარჯული ენერჯიდან სასარგებლოდ ვიყენებთ მხოლოდ 30 %, კერძო სახლებში კი მხოლოდ 25%.

რომ მივალწიოთ კომპრომის სოციალურ-ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას შორის, საჭიროა პოლიტიკოსებს, სამშენებლო სექტორს, შესაბამის სამთავრობო ორგანოებსა, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევა.

საქართველოს ეკონომიკა მაღალი ენერჯინტენსიობით გამოირჩევა და დიდად არის დამოკიდებული ენერჯის იმპორტზე. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე და ენერგეტიკული თანამეგობრობის შეთანხმების მიერთების ოქმზე ხელისმოწერა არის მაგალითი იმისა, რომ საქართველოს მთავრობა გამომხატავს ვალდებულებას აამაღლოს ენერგოეფექტურობის დონე, შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს ენერგოდამზოგავი სტრატეგიები ქვეყანაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის დასახლებული რაიონები სადაც ამ დრომდე არ მომხდარა გაზიფიკაცია და მოსახლეობა დღემდე ძირითად საწვავად მოიხმარს შეშას, რაც შეუქცევად ზიანს აყენებს მწვანე საფარს. დღეისათვის პრაქტიულად არ არსებობს სრულფასოვანი მონაცემები ტყეების უსისტემო ჭრების შედეგად ქვეყანაში დარჩენილი ტყის რესურსების შესახებ, ხეცყის ასეთი მასშტაბებით გამოყენებამ შესაძლებელია ქვეყანა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენოს.

ადგილობრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტური გამოყენება, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და ენერგოდამზოგი ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა.

დღესდღეობით, საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის სექტორი რეგულირდება საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. 2004 წლიდან საქართველო ანხორციელებს მნიშვნელოვან რეფორმებს სამშენებლო სექტორის რეგულირების მიზნით.

არსებული კანონებისა და რეგულაციების გარდა, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს ახალი რეგულაციები და სამშენებლო ინდუსტრიის მდგრადი განვითარების ტექნიკური სტანდარტები.

საქართველოს მთავრობის N50 რეზოლუციის ფარგლებში, რომელიც 2013 წლის 7 მარტს გამოიცა, OECD-ის 37 ქვეყნის სამშენებლო სექტორის რეგულაციები/კოდეზი ნებადართულია საქართველოში გამოსაყენებლად.

2014 წელს GIZ-ის დახმარებით მომზადდა კანონპროექტი „სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქამიანობის კოდექსი“, რომლის მიზანია ტექნიკური მოთხოვნების, კანონებისა და სტანდარტების განვითარება, სადაც წამყვანი ტექნიკური ასპექტები იქნება წარმოდგენილი სამშენებლო სექტორის განვითარებისთვის. კოდექსს აქვს სპეციალური მუხლი N88 „ენერგოეფექტურობა შენობებში“ და N89 „განახლებადი ენერჯების ტექნოლოგიების გამოყენება შენობებში“, რომლებიც მოითხოვენ გაუმჯობესებული და თანამედროვე ტიპის შენობების ენერგოეფექტურობის კოდექსის შემუშავებას.

კანონი სამშენებლო საქამიანობის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აკისრებს

ვალდებულებას განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკა სამშენებლოს სფეროში, მოამზადოს და დაამტკიცოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები.

მას შემდეგ, რაც 2017 წელს საქართველო გახდა ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელისმომწერი მხარე, მთავრობამ აიღო ვალდებულება ენერგეტიკული თანამეგობრობის კანონების/EnC aquis ტრანსპონირებაზე შენობებში ენერგოეფექტურობის პრობლემების გადასაწყვეტად. ამ დირექტივის მუხლების უმრავლესობა ითვალისწინებს, რომ შესრულდეს 2019-2023 წლებში (ნულოვანი ენერგომომხმარების შენობებისათვის 2027-2029 წლებში).

ევროკომისიის შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების დირექტივა 2010/31/EU და ენერგოეფექტურობის დირექტივა 2012/27/EU (EED) გამოიწვევს ცვლილებებს საქართველოს სამშენებლო სექტორში. ორივე დირექტივის მიხედვით უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებებისა, რათა უზრუნველყოთ ენერგოეფექტურობის სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება როგორც არსებულ ასევე ახლად აშენებულ შენობებში.

მსოფლიოში პროგრესირებადი კლიმატური ცვლილება კაცობრიობისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. კლიმატის დაცვა საჭიროებს გადამწყვეტი და მიზანმიმართული ღონისძიებების გატარებას, რათა შემცირდეს საწვავი წიაღისეული რესურსების ხარჯვა და მათი წვის შედეგად გამოწვეული გლობალური კლიმატის ცვლილება.

ენერგოეფექტურობა არის ადგილობრივი სათბობენერგეტიკული რესურსების ეფექტური გამოყენება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ენერგო დამზოგი ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზება. ენერგოეფექტურობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთერთი ძირითადი წინაპირობაა. ამიტომ ენერგოეფექტურობა ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის განვითარების პრიორიტეტს წარმოადგენს. სწორედ შიდა ენერგორესურსებისა და ენერჯის ეფექტურად გამოყენების დონე ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის ენერგოტევადობის შემცირების განზოგადებული მაჩვენებლები, განაპირობებენ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას (როგორც შიდა, ისე გარეზარზე) და ამ ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო თანამეგობრობაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება საქართველოსათვის, სადაც ერთი მხრივ, საკუთარი ეკონომიკის უზრუნველსაყოფად საკმარისი რესურსების შემოტანა გარედან ხდება (ეს არის მოხმარებული ბუნებრივი აირის მთელი რაოდენობა, ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების ძირითადი და ელექტრო ენერჯის ნაწილი), ხოლო მეორე მხრივ, სათბობენერგეტიკული რესურსების სასარგებლოდ გამოყენების კოეფიციენტი 45%-საც კი არ აღემატება, ანუ ქვეყანაში არსებული ენერგო რესურსების ნახევარსაც კი ვერ ვიყენებთ დანიშნულებისამებრ.

გარდა ენერგოუსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარებისა, ენერგოეფექტურობას ბევრი სიკეთე მოაქვს. მათ შორის: დადებითად აისახება ჯანმრთელობაზე, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ზრდის კომფორტის დონეს, აუმჯობესებს ეკოლოგიას და ეკონომიკას.

უპირატესობა ენიჭება ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გულისხმობენ განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების ზრდას. განახლებად ენერჯიად ითვლება შემდეგი წყაროების გამოყენება:

- გეოთერმული ენერჯია
- გარემოდან მიღებული თბური ენერჯია
- მზის რადიაციის ენერჯია
- ბიომასიდან გამომუშავებული ენერჯია

საცხოვრებელ შენობებში ენერგოეფექტურობის ზრდის მისაღწევად ძალზე მნიშვნელოვანია ოპტიმალური ღონისძიებების დანერგვა ტექნიკური აღჭურვილობისა და შენობის გარეკონსტრუქციის გასაუმჯობესებლად. ეს ხელს შეუწყობს ენერგომომხმარებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების, აგრეთვე გარემოს დამაზინძურებელი აირების ემისიების შემცირებას. თუ შენობაში ძველი და არაეფექტური გათბობის სისტემა დამონტაჟებული, მისი განახლება ეფექტური ღონისძიებაა. მაღალ ენერგოეფექტურობას გვათავაზობენ შემდეგი გათბობის სისტემები:

- გეოთერმული ცენტრალური გათბობის სისტემები
- მყარი გრანულირებული (პელეტი და ბრიკეტი) სათბობის ცენტრალური გათბობის სისტემა
- ბუნებრივ გაზზე მომუშავე წვის მაღალი მარგი ქმედების საქვაბე მზის თერმულ ენერჯიასთან ერთად

სასურველია, გათბობისათვის გამოვიყენოთ ქვეყანაში არსებული ისეთი ენერგო მატარებლები, რომლებიც მოსაპოვებლად ადვილია და მათ ქიმიური შემადგენილობაში დაბალი CO<sub>2</sub>-ა ან CO<sub>2</sub>-ნეიტრალურია. გეოთერმული ენერჯის წყაროები დასავლეთ საქართველოში არსებობს (თერმული წყლები) და წარმოადგენს ტრადიციულ ენერგო მატარებელს, ბუნებრივი აირისა და ნავთობის, ალტერნატივას. საქართველოს აგრეთვე დიდი რაოდენობით ხის საწვავი რესურსის პოტენციალი გააჩნია, რომელიც შესაძლებელია დამზადდეს ხის ნარჩენებისაგან და განეკუთვნება ადგილობრივ განახლებად CO<sub>2</sub>-ნეიტრალურ ენერგო მატარებელთა რიცხვს. მათი გასათბობად გამოყენება შეიძლება პელეტის ან ბრეკეტების სახით. პალეტის ან ბრეკეტების გათბობის სისტემები ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე შეშის ღუმელები. იმისათვის, რომ ტყის საფარი არ განადგურდეს და შეუნარჩუნდეს მომავალ თაობებს, საქართველოში ტყიდან ხის საწვავი მასალის მოწოდება უნდა მოხდეს მდგრადი გამოყენების პრინციპის თანახმად.

თანამედროვე მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში ხდება შენობის თბოფიზიკური მახასიათებლების აბსოლუტური იგნორირებით. ხშირ შემთხვევაში გარე შემომზღუდი კონსტრუქციები აშენებულია ბეტონისაგან დამზადებული ნახევარი ბლოკით ანუ 20 სმ სისქით. რაც ვერ უზრუნველყოფს შენობის თბოდაცვას. ერთადერთი ფუნქცია რაც ასეთ კედლებს გააჩნიათ არის საცოვრებელი ფართის შემოზღუდვა.

დღევანდელი მშენებლობა ძირითადად ორიენტირებულია სამშენებლო თბოტექნიკის ძველ საბჭოთა ნორმებზე და ხშირად ეს ნორმებიც არ არის დაცული. სამწუხაროდ, ახალი შენობების დაპროექტებისას ითვალისწინებდნენ მხოლოდ ორ საკითხს: სტატიკურ სტაბილურობას და ჰიდროგეოლოგიურ შეფასებას. უგულვებელყოფილია თერმული წინაღობის სავალდებულო ნორმა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში აშენებულ შენობებშიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები, რის გამოც ასეთი შენობების გათბობას/გაგრილებასა და ვენტილაციას დიდი რაოდენობით ენერგო მოხმარება სჭირდება. ასეთ შენობებში 1მ<sup>2</sup> იატაკის ფართობის გათბობისათვის მოიხმარება 40-50% ით უფრო მეტი ენერჯია, ვიდრე მსგავსი კლიმატური ზონის ევროკავშირის ქვეყნებში.

ზამთრის პერიოდში გათბობის ხარჯის შემცირებით, მაგ. შენობის კარკასის დათბუნებით, გათბობის, კონდიციონერის, განათების და ა.შ. სისტემების გამართული მუშაობით, ქვეყანას შეუძლია შეამციროს ენერგო მოხმარების დაახლოებით 25-35%.

ენერგო ეფექტური ღონისძიებების დანერგვა აუმჯობესებს ყველა ტიპის შენობაში კომფორტს, ქმნის უკეთეს გარემოს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თავიდან გვაცილებს სხვადასხვა დაავადებებს, რომლებიც არაჯანსაღი გარემო პირობებითაა გამოწვეული.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ენერგოდაზოგვის პოტენციალის გაზრდის მრავალ შესაძლებლობას იძლევა.

შენობის ენერგო მაჩვენებლების კვლევისა და პროექტირებისას საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რათა სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ.

უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ძირითადი მიმართულება:

1. შენობის მიკროკლიმატის ორგანიზება;
2. ენერგო დანახარჯების მინიმალიზაცია;
3. შენობის ეკონომიურობა, მატერიალური რესურსების რაციონალური დანახარჯი.

შენობის ოპტიმალური ფორმის არჩევა, მისი ადგილმდებარეობა და ორიენტაცია, ფანჯრის ღიობების მოწყობა და შენობის მიკროკლიმატის მართვა, შენობის თბურ ბალანსზე კლიმატის ნეგატიური ზემოქმედების შემცირების საშუალებას იძლევა.

შენობის პროექტშივე შეიძლება განისაზღვროს სავარაუდო ენერგოხარჯი. ამას განაპირობებს მზის მიმართ შენობის ორიენტაცია და ლოკალურად გაბატონებული ქარის მიმართულებები. ქარისაგან დაცული ადგილი ხელს უწყობს თბოდანაკარგების შემცირებას. ფასადის გახსნა ფანჯრების მეშვეობით ზამთრის მზედგომის მხარეს შესაძლებელს ხდის მზის სითბური გამოსხივების გამოყენებას შენობის გასათბობად.

ზამთრობით მზის გამოსხივებით მიღებული სითბოს შეფასება და ფანჯრების ფართობების განსაზღვრა განხილულ უნდა იყოს ზაფხულობით სითბოსგან დაცვასთან ურთიერთკავშირში, ვინაიდან დიდი ზომის ფანჯრებმა შეიძლება გამოიწვიოს გაგრილების მაღალი დატვირთვის აუცილებლობა, რასაც თან ახლავს დიდი ენერგოხარჯი.

თანამედრო ვედაგეგმარებაში მხოლოდ შენობის ენერგოეფექტურობა როდია გათვალისწინებული.

განიხილება აგრეთვე სამშენებლო მასალების დამზადებაზე გაწეული ენერგო ხარჯი და მათი გამძლეობა. თუმცა სამშენებლო მასალების დამზადებაზე გაწეული ხარჯი მთლიანი ანალიზის მხოლოდ ერთი ასპექტია. ასევე მნიშვნელოვანია მდგრადობა, უტილიზაცია, გამძლეობა და ტექნიკური მომსახურების ინტერვალები. აქედან გამომდინარე, მკვეთრადაა გაზრდილი ინტერესი ისეთი სამშენებლო მასალების მიმართ, რომელთა დამზადება შესაძლებელია ადგილობრივად, დიდი ენერგო ხარჯის გაწევის გარეშე, რაც თავისთავად შეამცირებს ნედლეულის მომწოდებელ მესამე ქვეყნებზე დამოკიდებულებას

ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში აშენებულ შენობებშიცარ არის გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები, რის გამოც ასეთი შენობების გათბობას/გაგრილებასა და ვენტილაციას დიდი რაოდენობით ენერგო მოხმარება სჭირდება. ასეთ შენობებში 1მ<sup>2</sup> იატაკის ფართობის გათბობისათვის მოიხმარება 40-50%-ით უფრო მეტი ენერგია, ვიდრე მსგავსი კლიმატური ზონის ევროკავშირის ქვეყნებში.

ზამთრის პერიოდში გათბობის ხარჯის შემცირებით, მაგ. შენობის კარკასის დათბუნებით, გათბობის, კონდიციონერის, განათების და ა.შ. სისტემების გამართული მუშაობით, ქვეყანას შეუძლია შეამციროს ენერგო მოხმარების დაახლოებით 25-35%.

ენერგო ეფექტური ღონისძიებების დანერგვა აუმჯობესებს ყველატიპის შენობაში კომფორტს, ქმნის უკეთეს გარემოს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თავიდან გვაცი ლებს სხვადასხვა დაავადებებს, რომლებიც არაჯანსაღი გარემო პირობებითაა გამოწვეული.

შენობის დაპროექტების პროცესში, მისი ენერგეტიკული ხარისხის კლასიფიკაციისათვის შემუშავებენ შენობის ენერგოპასპორტს, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას შენობის გარსის თბოტექნიკური მახასიათებლებისა და შენობაში არსებული საინჟინრო სისტემების გათბობის, ვენტილაციის, ცხელწყალმომარაგებისა და განათების შესახებ. ენერგოპასპორტი ასევე ითვალისწინებს იმ ღონისძიებების ჩართვას, რომლებიც ხელს უწყობს CO<sub>2</sub>-ის გამოფრქვევის შემცირებასა და გათბობაზე/გაგრილებაზე ენერგომოთხოვნის შემცირებას.

ენერგოპასპორტი გაიცემა საპროექტო დოკუმენტაციისა და შენობის ენერგეტიკული ანალიზის საფუძველზე.

ენერგოპასპორტის შესადგენად საჭიროა შემდეგი მონაცემები:

- გათბობის სისტემა, თბოგადამცემი ელემენტები და გამანაწილებელი სისტემები
- ცხელწყალმომარაგება და გამანაწილებელი სისტემა
- სავენტილაციო სისტემის სახეობა
- გაგრილება ან კონდიციონერება
- განათება, სანათები და ნათურები
- პირველადი ენერგიის ენერგოეფექტურობის შეფასება
- ოთახებში მაცხოვრებელთა სიმჭიდროვე და სამომხმარებლო პროფილები
- ენერგომომარაგების სისტემის სახეობა
- წყალმომარაგება/კანალიზაციის სისტემები
- გასათბობი ფართის მოცულობა
- თბოგამტარობის წინაღობა (შენობის ნაწილები: ჭერი, კედლები, ფანჯრები და კარები, გრუნტის ფილები თბოგადამცემის U კოეფიციენტის დადგენილი სავალდებულო მნიშვნელობებით)
- მშენებლობის მოცულობა, გასათბობი ოთახების ფართობი და მოცულობა
- შენობის აღჭურვა მრიცხველებით, მოხმარებული რესურსის დანახარჯის აღრიცხვისათვის
- შიდა კლიმატური პირობები და ზონების შედარება
- გამთბარ და გაუმთბარ ოთახებს შორის შიდა თბური დანაკარგების კონტროლი

ამ დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ შეგროვებულ ინფორმაციას გაანალიზებენ და შეაფასებენ შენობასთან მიმართებაში. ამასთანავე, უკეთესი ენერგეტიკული შედეგების მისაღწევად გაანგარიშების პროცესში შესაძლებელია მოხდეს შენობის გარსის ან საყოფაცხოვრებო ტექნიკის ოპტიმიზაცია. ამრიგად, გაანგარიშება ენერგეტიკული დაგეგმვის გაუმჯობესებასაც ემსახურება.

ენერგოპასპორტი გაიცემა ახალი მშენებლობისთვის, შენობებისათვის, რომელთაც ჩაუტარდათ რეკონსტრუქცია და არსებული შენობებისათვის; აგრეთვე იმ შენობებისთვის, რომელთა დანიშნულებაც იცვლება. ენერგოპასპორტის თანახმად შენობები კლასიფიცირდება A-G კლასებად. A - კლასი აღნიშნავს შენობის

მაღალ ენერგოეფექტურობას. G-კლასი კი ცუდი ენერგეტიკული სტანდარტისა და, შესაბამისად, პირველადი ენერჯის მაღალი მოთხოვნილების მაჩვენებელია. ენერგოპასპორტი ასევე შეიცავს სარეკომენდაციო ღონისძიებებსაც, რომელთა დანერგვის შედეგად შესაძლებელია ენერგორესურსების მოხმარების დაზოგვა. ენერგოპასპორტი წარდგენილ უნდა იქნას შენობის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე. ამ გზით ხდება უძრავი ქონების ენერგეტიკული ხარისხის დოკუმენტირება და დადასტურება იმისა, რომ მშენებლობის დროს დაცულ იქნა გაანგარიშების ყველა საორიენტაციო კრიტერიუმი. ეს ეხება როგორც ახალ მშენებლობას, ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ სანირებულ შენობებს. შენობის ექსპლუატაციაში შესვლის ნებართვის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

- შენობის პარამეტრების შესაბამისობის დამადასტურებელი დეკლარაცია
- შემსრულებელი ფირმების შესაბამისობის დამადასტურებელი დეკლარაცია, რომლებმაც დაამონტაჟეს გათბობისა და/ან გაგრილების ტექნიკური სისტემები
- დოკუმენტი შესრულებული ან შესასრულებელი ენერგოეფექტური ღონისძიებების ჩამონათვალით.

ენერგოპასპორტი არის ე.წ. დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ შენობა აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ნორმებს. შენობის კლასიფიკაცია ძირითადად გათბობისა და გაგრილების ენერგომოთხოვნასთან მიმართებაში ხდება კანონით გათვალისწინებული სტანდარტების საფუძველზე. შენობები, მათი გათბობის ენერგეტიკული მოთხოვნიდან გამომდინარე, იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად.

ენერგოდამზოგი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია სამომავლოდ ზრდადი ენერგოხარჯების კომპენსირება, პირველადი ენერგომოხმარების კლება, CO<sub>2</sub>-ის გამოფრქვევების შემცირება და ობიექტის ღირებულების გაზრდა.

ნებისმიერი ენერგეტიკული ანალიზიში, რომელი მხრიდანაც არ უნდა განვიხილოთ ეს თემა, საექსპლუატაციო გეგმიური დანახარჯის ანალიზის გარდა, ყოველთვის დგას რეზულტატის და საჭირო ინვესტიციების საკითხი. ამასთან, მუდამ კრიტიკულად განიხილება თბოსაიზოლაციო მასალების ფენოვანი სტრუქტურის გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, როგორც ეკონომიური, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციების ხანგამძლეობისა და ტექნიკური მომსახურების დაბალი დანახარჯების ასპექტებს, თუმცა ამ საკითხების განხილვისას რეგულარულად ჩნდება მათ მართ მიდგომებში განსხვავებები. დამკვეთისათვის წინა პლანზე დგას ინვესტიცია და უძრავი ქონების ექსპლუატაციისათვის საჭირო ენერგო ხარჯის სავარაუდო შემცირება. ისეთი პარამეტრი, როგორცაა, მაგალითად, პირველადი ენერჯის მოხმარება, არ წარმოადგენს დიდი ნტერესის საგანს, ვინაიდან პარამეტრები ზედმეტად აბსტრაქტულია და ნაკლებად ასახავს მომხმარებლის ფაქტიურ სამომხმარებლო ქცევის ხასიათს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია პოლიტიკურად განპირობებული ერთიანი ანალიზის ასპექტები: მხოლოდ იმგვარი ანალიზი ასახავს ენერგო მომთხოვნილებისა და ენერგოეფექტურობის სრულ სურათს, რომელიც ითვალისწინებს წარმოშობას, ტრანსპორტირებასა და გარდაქმნის დანაკარგებს. კვლევებმა დაადასტურა, რომ თბოსაიზოლაციო მასალების გამოყენების შედეგად ენერჯის მოსალოდნელ და ზოგვასთან და მოგებასთან მიმართებაში, ის თბოსაიზოლაციო მასალა, რომელიც ერთი ლიტრი ნავთობისგან იწარმოება და ფასადისათვის გა მოიყენება, 50-წლიანი ექსპლუატაციის პერიოდში დაახლოებით 200 ლიტრ საწვავს და, შესაბამისად, 600 კგ CO<sub>2</sub>-ს შეამცირებს.

ენერგო რესურსების არარაციონალულად გამოყენების ერთ-ერთი მთავარ მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ენერგოეფექტურობის, ენერგოდაზოგვისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა მოსახლეობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებში და ასევე ეკონომიური პირობები და დაფინანსების ნაკლებობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ენერგოდაზოგვის ღონისძიებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

## დასკვნა

1. კლიმატის ცვლილებების მიმართებაში, დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ საქართველოს ხელისუფლებას არაერთი დოკუმენტი აქვს დამტკიცებული. შეიძლება ითქვას რომ, წლების განმავლობაში მიუხედავად გარკვეული ჩავარდნებისა, კლიმატის ცვლილებების საკითხებისადმი მიდგომა იცვლებოდა და უფრო პასუხისმგებლიანი ხდება, რაც ისახება ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებშიც.
2. მიუხედავად იმისა რომ, ეროვნულ დონეზე მიღებული დოკუმენტების ნაწილი პასუხობს გლობალურ თუ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, სერიოზულ გამოწვევად რჩება, ზემოთ აღნიშნული საკითხების ეროვნულ დონეზე პრაქტიკული იმპლიმენტაციის საკითხები.
3. განსაკუთრებით ყურადსაღები არის ბიზნესის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი. პროექტის განმავლობაში სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე გამოიკვეთა რომ, ბიზნესი კლიმატის ცვლილებების საკითხს კი იცნობს ზოგადად მაგრამ რთულად წარმოუდგენიათ თავიანთი საწარმოს როლი და მნიშვნელობა პროცესში. შესაბამისად სამომავლოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სექტორების და რეგიონების მიხედვით საპილოტე პროექტების (მაგ., ენერგოეფექტურობა, ცირკულარული ეკონომიკა და სხვა.) შერჩევა რომლებიც შემდგომ შესაძლებელია სხვა მეწარმეებზე გაეცნონ, რათა პრაქტიკულ მაგალითებზე შესაძლებელი იყოს იმის ნახვა თუ რა მონეტარული შედეგი შეიძლება ნახოს ბიზნესმა ახალი მიდგომების დანერგვით.
4. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბიზნესის სფეროში ინოვაციური მენეჯმენტის ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობა.
5. მნიშვნელოვანია მეწარმეებისთვის კონკრეტული საკანონმდებლო მექანიზმების არსებობა რაც შესაძლებელს გახდის ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.
6. კლიმატის ცვლილებების საკითხებთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მუნიციპალიტეტებს. მიუხედავად იმისა რომ, ევროკავშირის (EU) მერების შეთანხმებაზე (COM) ხელმომწერმა მუნიციპალიტეტებმა აიღეს ვალდებულება სამოქმედო ტერიტორიაზე 2020 წლისთვის 20%-ით შეამცირონ ემისია, შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნულ ვალდებულებებს უფრო დეკლარატიული ხასიათი აქვს და მუნიციპალიტეტებს არც გამოცდილება, არც ფუნქცია და რაც მთავარია რესურსი არ გააჩნიათ. შესაძლებლად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტებისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება რათა მათ შეძლონ კლიმატის ცვლილებების საკითხების უკეთ ასახვა მუნიციპალურ დონეზე. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტების მომზადება ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებისათვის მომზადება, რათა მუნიციპალიტეტებს მიეცეთ მეტი უფლებები და რაც მთავარია ფინანსური რესურსები.

One of the main reasons of energy resources irrational use is lack of information about energy efficiency, energy conservation and modern technologies among the population and decisionmaking persons and also economical conditions and lack of financing, that would promote establishing energy conservation activities and modern technologies.

## **Conclusion**

Georgia is part of all international multilateral treaties and agreements in climate change. It can be stated, that over the years, despite definite failures, the approach to climate change has been changing and becoming more important. This is reflected in Georgia's national policies and legislation. However, practical implementation of Nationally Determined Contributions (NDC) is still a great challenge.

